ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი

26.08.2016

ერთი მხრივ ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ნინო ზამბახიძის სახით, მეორე მხრივ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარი წარმოდგენილი მისი დირექტორის ბელა ავალიშვილის სახით, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი აისი წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მალხაზ ასლამაზიშვილის სახით, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით (შემდგომში - დაწესებულება) და მესამე მხრივ შპს - მექანიზატორი წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის პაატა შეყელაძის სახით:

აცნობიერებენ რა პროფესიული განათლების მნიშვნელობას სოფლის მეურნეობაში;

მიზნად ისახავენ რა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ხელშეწყობას თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში შპს - მექანიზატორი მისი კუთვნილი მატერიალური რესურსის (სხვადასხვა სახისა და სიმძლავრის სასოფლო სამეურნეო ტრაქტორები: სტანდარტული, საბაღე, ხელით სამართი, მოტობლოკი. სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღები: საპლანტაჟე და სახნავი გუთნები, გამაფხვიერებელი კულტივატორები, შემასხურებლები, სამულჩი, სათიბი, სათესი, სარგავი, სასუქის შემტანი, საკრეფი მოწყობილობები. ტრაქტორის მისაბმელი - თვითმცლელი („ლაფეტი") მეშვეობით ხელს შეუწყობს დაწესებულებაში განსახორციელებელი მეხილისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის სპეციალისტის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთა სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სწავლის შედეგების მიღწევას.

მუხლი 2. მხარეთა უფლებამოსილებანი

1. შპს - მექანიზატორი რეგიონალური პრინციპის დაცვით მისი კუთვნილი მატერიალური რესურსის მეშვეობით უზრუნველყოფს მეხილისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რისთვისაც აუცილებელია ამ მემორანდუმის პირველ მუხლში მითითებული აღჭურვილობა.

2. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ხელს შეუწყობს პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და უზრუნველყოფს მხარეებს შორის კოორდინაციას.

მუხლი 3. მემორანდუმის მოქმედების ვადა

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ამ მემორანდუმის პირველ მუხლში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის ვადით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექვს ეგზემპლარად, რომელთა თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

2. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

3. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

4. დეტალური საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული აღნიშნული მემორანდუმით შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საგანი.

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
მის.: ქ. თბილისი, ა. ხორავას ქ. 3

ნინო ზამბახიძე

სსიპ - ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მის.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. #14

თეონა ხუფენია

შპს - მექანიზატორი

მის.: თბილისი, ისნის რაიონი ზემო ალექსეევკა ნაკვ: 002/027

პაატა შეყელაძე

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარი
მის.: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #106

ზელა ავალიშვილი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი
მის.: მცხეთის რაიონი სოფელი წინამძღვრიანთკარი

თეიმურაზ ასათიანი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი აისი
მის.: გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი

დირექტორის მოვალების შემსრულებელი:
მალხაზ ასლამაზიშვილი